ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #22

2019წ. 12 თებერვალი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, მ.ამაშუკელი,
ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
მ.დათუკიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ივანე მესხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი ლევან ჯღარკავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლ;ია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“
2. “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, თანხმობის მიღების საკითხს.
3. “კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მოისმინეს:

1. სხდომაზე განხილული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ კახა კალაძის წერილი #12-0319036156-03 თარიღი: 05.05.2019წ. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“.

„ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის #19.95.149 განკარგულების საფუძველზე გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანია ვარკეთილის მე-3 მასივში (ნაკვეთი 20/025) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30 205 კვ.მ მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 (ერთ) ლარად, პრივატიზება და

პირობადებულ საკუთრებაში გადაცემა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისათვის/პირთათვის. მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ბინების საერთო ფართის მინიმალური ჯამური ოდენობა შეადგენს 7500 კვ.მ. განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 18 მარტი.

2. შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორმა ლევან ჯღარკავამ წარმოადგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით „2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 15 000 000 ევროზე. პროექტთან დაკავშირებით 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის მხარდაჭერის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს" და ევროპის რეკონსტრუქუციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის საპროექტო ხელშეკრულებები.

აღნიშნულის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს 15 000 000 ევროს, სასესხო შეთანხმებით, საპროექტო ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად. 15 000 000 ევროს სესხის აღების საკითხი თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია საკრებულოში.

3. სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ". ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებისთვის, კერძოდ: კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაციისთვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობის რეაბილიტაციისთვის, ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში: ვირის ხიდის აღდგენა/მშენებლობისათვის, ფიროსმანის, გუდიაშვილის, გორგასლის ქუჩებისა და ორბელიანის მოედანზე ორი ობიექტის რეაბილიტაციისთვის, სერვისცენტრების რეაბილიტაცია/მოდერნიზაციისთვის 62 820 000 (სამოცდაორი მილიონ რვაასოცი ათასი) ლარის ოდენობის დამატებითი სახსრების მოძიებასთან დაკავშირებით წარმოიშვა კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის აუცილებლობა. შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხი წარმოდგენილია თანხმობის მიღების მიზნით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 თებერვლის №19.154.211 განკარგულება).

აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ფ.ინჯიამ, მ.დათუკიშვილმა.

საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა დასმულ შეკითხვას.

დაადგინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების მიერ მოწონებული იქნა ზემოაღნიშნული სამივე პროექტი და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა (თავი შეიკავა მარინა დათუკიშვილმა).

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია